თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ. თელავი 24.05.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; მამუკა ბურდიაშვილი; თენგიზ მთვარელიშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიორგი ქართლელიშვილი; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:; დეპუტატი - **მიხეილ დაღუნდარიძე; ალექსანდრე შათირიშვილი; ლევან ბერძენაშვილი; ლევან კოჭლოშვილი; დავით ღაღანიძე; ზურაბ მოსახლიშვილი; ზაზა ტატულიშვილი; ივანე კირვალიძე; ალექსანდრე კუპატაძე; რამაზი ჩეკურიშვილი; ზაქარია გრიშიკაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტარიელ გალახვარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დავით ქსოვრელიშვილი;** ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახური"-ს დირექტორი - **ივანე იორდანიშვილი.**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადი მიმოხილვა გააკეთა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის კვარტალური (3 თვის) შესრულებასთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს.**

მან აღნიშნა რომ თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 3 თვის განმავლობაში განისაზღვრა 54128,29 ათ. ლარის ოდენობით.

აქედან, შემოსავლების გეგმა 3 თვის განმავლობაში დაგეგმილი იყო 5486,20 ათ. ლარით. ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 5722,95 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 104,32% -ით. გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 8081,59 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 85,40% -ით. დამატებითი ღირებულების გადასახადი შესრულდა 98,82%-ით; ქონების გადასახადი შესრულდა 131,52%-ით. გრანტებიდან მიღებული შემოსავლები შესრულდა 94,25%-ით. დაგეგმილი იყო 207,5 ათ. ლარი ფაქტმა შეადგინა 195,57 ათ. ლარი.

სხვა შემოსავლები შესრულდა 134,97% -ით. დაგეგმილი იყო 667,0 ათ. ლარი და შესრულებამ შეადგინა 900,25 ათ ლარი. აქედან შემოსავლები საკუთრებიდან დაგეგმილი იყო 289,50 ათ. ლარი და შემოსავალმა შეადგინა 385,69 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა გადაჭარბებით 133,23%-ით. შესრულების ყველაზე დიდი წილი მოდის პროცენტებიდან მიღებულ შემოსავლებზე 152,20%, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის 120,75%.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - დაგეგმილი იყო 102,50 ათ. ლარი, ხოლო ფაქტმა შეადგინა 127,88 ათ. ლარი. გეგმა გადაჭარბებით შესრულდა 124,76%-ით.

ჯარიმებიდან და საურავებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 134,96% -ით.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 35,78 ათ ლარი. დაგეგმილი იყო 15,0 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 238,53% -ით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან გეგმა შესრულდა 138,98 % -ით. დაგეგმილი იყო 357,42 ათ. ლარი. მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 496,72 ათ. ლარი.

სულ შემოსულობების გეგმა სამი თვის განმავლობაში შესრულდა 106,44% -ით. 2022 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 5843,62 ათ. ლარი. მიღებულმა საკასო შემოსავლებმა კი შეადგინა 6219,68 ათ. ლარი.

რაც შეეხება გადასახდელებს 3 თვის განმავლობაში შესრულდა 85,40%-ით. დაგეგმილი იყო - 9462,79 ათ. ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 8081,59 ათ. ლარი.

2022 წლის 01 იანვრისთვის - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან და სხვა ტრანსფერებიდან ნაშთი - 3872,0 ათ.

ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან - აღებული და ასანაზღაურებელი ვალდებულებები 3276,8 ათ. ლარი, ჭარბი შემოსავლებიდან - 2303,29 ათ. ლარი, თავისუფალი ნაშთი გადასახდელებიდან - 3660,36 ათ. ლარი. ხოლო 2022 წლის 01 აპრილისთვის 3287,7 ათ. ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერიდან, მიზნობრივი ტრანსფერიდან ნაშთი და სხვა ტრანსფერიდან ნაშთი, ხოლო 7962,8 ათ, ლარი - ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ნაშთის ცვლილებამ პერიოდის განმავლობაში შეადგინა (-1861,92) ათ. ლარი.

თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 3 თვის განმავლობაში ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაიხარჯა 3,80 ათასი ლარი.

1,50 ათასი ლარი - თელავის საპატიო მოქალაქისა და მუსიკოსის - სოსლანბეგ შავლოხოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით;

2,30 ათასი ლარი - უკრაინის მოსახლეობის დახმარების მიზნით, ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური (3 თვის) მიმოხილვა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (თან ერთვის) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>**მოისმინეს:**</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დადგენის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადი მიმოხილვა გააკეთა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროექტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) მგზავრობის ტარიფსა და შეღავათების დადგენის საკითხს.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად მგზავრობის საფასური განსაზღვრულია 1,00 ლარით, ხოლო 50%-იანი შეღავათით სარგებლობის უფლება მიეცემათ: პენსიონერებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ვეტერანებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მრავალშვილიან ოჯახებს 150 000 ქულამდე, მარჩენალდაკარგულ პირებს 150 000 ქულამდე, მარტოხელა მშობლებს 150 000 ქულამდე, ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის უმწეოთა და უპოვართა სამსახურის“ ბენეფიციარებს, საჯარო სკოლების მოსწავლეებსა და უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებს.

ზ. ლილუაშვილმა ასევე აღნიშნა, რომ თელავის მუნიციპალიტეტში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „თელავის სატრანსპორტო სამსახური". მგზავრობის საფასურის გადახდა განხორციელდება ელექტრონული გადახდის საშუალებით, ხოლო იმ მოქალაქეებს, რომელთათვისაც დადგენილია შეღავათები, მომსახურების მიმწოდებლის (ბარათის გამცემი) მიერ გადაეცემათ პლასტიკური ბარათები, რომლითაც შეძლებენ 50%-იანი შეღავათით მგზავრობას. მგზავრთა გადაყვანიდან შემოსული თანხები, აგრეთვე უბილეთო მგზავრობისას გამოწერილი საჯარიმო სანქციების საფუძველზე გადახდილი თანხები ჩაირიცხება აღნიშნული იურიდიული პირის ბიუჯეტში, რომელიც მიმართული იქნება რეგულარული სამგზავრო გადაყვანის უზრუნველსაყოფად.

ი. კევლიშვილი - როდის იქნება მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებისთვის ხელმისაწვდომი მუნიციპალური ტრანსპორტი. რაზეც **თ. მთვარელიშვილმა** უპასუხა, რომ უახლოეს მომავალში მუნიციპალური ტრანსპორტი მოიცავს მთელ მუნიციპალიტეტს, რაზეც მერიის შესაბამის სამსახურებთან და კერძო პირებთან ერთად, დამატებითი რესურსების მოსაძიებლად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა.

კომისიაზე იმსჯელეს 1.00 ლარიან ტარიფთან დაკავშირებით. გამოითქვა აზრი, რომ შეჭირვებული მოსახლეობისთვის, წარმოდგენილი ტარიფით, დღის განმავლობაში რამდენჯერმე მგზავრობა, საკმაოდ ძვირია. რაზეც **ზ. ლილუაშვილმა** უპასუხა, რომ საკითხი მეტად მგრძნობიარე და მნიშვნელოვანია., მაგრამ უფასო ტრანსპორტს მომავალი არ აქვს. დეპუტატის პირდაპირი მოვალეობაა მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და ასევე მუნიციპალური ტრანსპორტის პოპულარიზაცია. პროექტის თანახმად 50%-იანი შეღავათით ბევრი მოწყვლადი ჯგუფი სარგებლობს, თან საბარათე სისტემის შემოღებისასაც იქნება შეღავათები.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროექტს.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> წარმოდგენილი პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას. საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი